




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამმაიფარაშვილი შალვა ილიას ძე



შ. ამმაიფარაშვილი

ამმაიფარაშვილი შალვა ილიას ძე [25. XII. 1902 (7. I. 1903), თბილისი, - 17. V. 1957, იქვე], დირიჟორი და კომპოზიტორი, საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1941). სტალინური პრემიის ლაურეატი (1948).

1930 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია საორკესტრო (პროფ. ა. ილინსკის კლასი), საკომპოზიციო (ს. ბარხუდარიანის კლასი) და სადირიჟორო (პროფ. მ. ბაგრინოვსკის კლასი) განხრით; 1933 კი - ასპირანტურა (პროფ. ა. გაუკისა და ე. მიქელაძის ხელმძღვანელობით). 1923 - 28 უკრავდა სასულე და სიმფ. ორკესტრებში. 1932-იდან იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის

დირიჟორი, ხოლო 1938-52 - მთავარი დირიჟორი. 1943-53 ხელმძღვანელობდა საქართველო რადიოს სიმფ. ორკესტრს, 1954-57 - საქართველო სახელმწ. სიმფ. ორკესტრს. ა-ის მუს. ხელმძღვანელობით დაიდგა მრავალი ქართ. ოპერა: მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცხიერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ (ორივე 1937), შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ (1946; სსრკ სახელმწ. პრემია, 1947), ი. გოკიელის „პატარა კახი“ (1943), დ. თორაძის „მთების ძახილი“ (1947) და სხვ. ა-ის მუს. ნაწარმოებებია სიმფ. პოემა „ყვარლის მთებს“ (1939), საორკესტრო სიუიტა „ძველი თბილისის სურათები“ (1941), სიმფონია (1945), ვოკალურ-სიმფ. პოემა „ქართლი“ (1946), ოპერა „ხევისბერი გონა“ (1951), მუს. კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ (1952) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: ჩხიკვაძე გ., საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები, თბ., 1956; დონაძე ვ. გ., Очерки по истории грузинской советской музыки, ч. 1 (1921 – 1945), Тб., 1975; Квиркидзе Т., Массовая песня, კრ.: Грузинская музыкальная культура, М., 1957.

გ. ტორაძე
